

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება

N1084

10.10.2008წ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე

თანამშრომელთა და უცხო პირთა შესვლის

წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების მე-11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

- 1.დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის ქვეშ მყოფ ობიექტებზე თანამშრომელთა და უცხო პირთა შესვლის წესი.
- 2.ბრძანება გაეცნოს სამინისტროს პირად შემადგენლობას.
- 3.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი
მერაბიშვილი

ივანე

დანართი

“დამტკიცებულია”

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2008 წ., “ „ “ №

ბრძანებით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის ქვეშე მყოფ

ობიექტებზე თანამშრომელთა და უცხო პირთა

შესვლის წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტროს) თანამშრომელთა და უცხო პირთა შესვლის, გადაადგილების და გასვლის წესს სამინისტროს იმ ადმინისტრაციულ შენობებსა და ობიექტებზე, რომლებზეც უსაფრთხოების მიზნით სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს მიერ ხორციელდება საჯარისო დაცვა (იხ. დანართი №1).

მუხლი 2.

ტერმინების მნიშვნელობა:

ა) სამინისტროს ობიექტები – სამინისტროს ობიექტები, რომლებზეც უსაფრთხოების მიზნით მოქმედებს შესვლის, გადაადგილების და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი, რომლის დაცვა ხორციელდება სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს შესაბამისი ძალებით და საშუალებებით;

ბ) უფლებამოსილი მოადგილე – შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომლის საკურატორო სფეროში შედის სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრი;

გ) თანამშრომელი – სამინისტროს მოსამსახურე და სამოქალაქო პირები (გამოსაცდელი ვადით დანიშნული, შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეები) რომელთა ობიექტზე შესვლას ახორციელებენ თანამშრომლის დადგენილი პირადობის მოწმობით ან დროებითი საშვით;

დ) უცხო პირი – საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი;

ე) ცენტრალური შესასვლელი – მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის და მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სტუმრებისთვის მოწყობილი შესასვლელი;

ვ) ძირითადი შესასვლელი – დასაცავ ობიექტზე შესასვლელი, რომელზეც ობიექტის თანამშრომლებისა და უცხო პირთა (მოქალაქეთა) შესასვლელად მოწყობილია საკონტროლო-გამშვები პუნქტი და საშვთა ბიურო;

ზ) დამხმარე შესასვლელი – დასაცავ ობიექტზე სპეციალურად მოწყობილი შესასვლელი, რომელიც განკუთვნილია ობიექტზე ტვირთების შეტანისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისათვის, საგანგებო შემთხვევებში კი გამოიყენება ავარიულ გასასვლელად. დამხმარე შესასვლელებთან საშვთა ბიუროები მოწყობილი არ არის;

თ) დახურული ობიექტი – სამინისტროს ობიექტი, რომლებზეც შესვლა ხორციელდება მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ნებართვა არის ზეპირი) საფუძველზე გაცემული საშვით;

ი) პროკურატურის ობიექტი – საქართველოს პროკურატურის ადმინისტრაციული შენობა (შემდგომში-პროკურატურა), რომელზეც უსაფრთხოების მიზნით მოქმედებს შესვლის, გადაადგილების და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი, რომლის დაცვა ხორციელდება სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს ძალებით;

შენიშვნა: პროკურატურის ობიექტზე თანამშრომელთა და უცხო პირთა შესვლა ხორციელდება საქართველოს გენერალური პროკურორის 2005 წლის 5 მაისის № 55 ბრძანებით.

კ) პროკურატურის თანამშრომელი – პირი, რომელიც მსახურობს პროკურატურაში და დადგენილი წესით სარგებლობს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობით;

ლ) მიმდებარე ტერიტორია – დასაცავი ობიექტის მომიჯნავე ტერიტორია, რომელიც ობიექტის საზღვრებს გარეთ მდებარეობს, მაგრამ ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭიროა მისი სათანადო საინჟინრო-ტექნიკური მოწყობა და მასზე გადაადგილების, გაჩერების და საქმიანობის შეზღუდული რეჟიმის დაწესება;

მ) ერთჯერადი საშვი – ელექტრონული ბარათი (დანართი N3ბ), რომლის საფუძველზე თანამშრომელს ან უცხო პირს ეძლევა სამინისტროს ობიექტებზე ერთჯერადი შესვლის უფლება;

მ¹) ელექტრონული საშვი – ელექტრონული ბარათი, (დანართი N3ა–1; N3ა–2; N3ა–3) რომლის საფუძველზე თანამშრომელს ან უცხო პირს ეძლევა სამინისტროს ობიექტებზე ერთჯერადი შესვლის უფლება;

ნ) დროებითი საშვი – დადგენილი წესით შევსებული ბარათი, რომელიც გაიცემა სამინისტროს ობიექტებზე სისტემატურად, გარკვეული პერიოდულობით შემსვლელ პირებზე და შეიძლება იყოს ორი სახის: პირველი – გაიცემა უცხოელ სტუმრებზე (იხ. დანართი №4ა), ხოლო მეორე – სამინისტროში გამოსაცდელი ვადით დანიშნულ პირებზე, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში შემსვლელ თანამშრომლებზე, შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეებზე, სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლებზე და მოქალაქეებზე (იხ. დანართი №4ბ). დროებით საშვს ძალა აქვს მხოლოდ მასში მინიშნებულ ობიექტზე შესვლისას და მოქალაქის ან თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად.

თავი II

სამინისტროს ობიექტებზე თანამშრომელთა შესვლის წესი

მუხლი 3.

ა) სამინისტროს ობიექტებზე თანამშრომელთა შესვლა ხორციელდება ცენტრალური ან ძირითადი შესასვლელებიდან, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებში მოსამსახურეთა შესვლა ხორციელდება დადგენილი ნიმუშის პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ (იხ. დანართი №2 ა და დანართი №2 ბ) ხოლო სამოქალაქო პირებისა - დროებითი საშვით (დანართი №4ა და 4ბ).

ბ) პირველი კატეგორიის სამსახურებრივი პირადობის მოწმობის მქონე (იხ. დანართი №2ა) თანამშრომლები სარგებლობენ სამინისტროს ყველა ადმინისტრაციულ შენობებსა და სხვა ობიექტზე შესვლის უფლებით ამ წესით დადგენილი ზოგიერთი შეზღუდვის გათვალისწინებით.

გ) მეორე კატეგორიის სამსახურებრივი პირადობის მოწმობის მქონე (იხ. დანართი №2 ბ) თანამშრომლები ამ წესით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად სარგებლობენ სამინისტროს ყველა ადმინისტრაციულ შენობასა და სხვა ობიექტზე შესვლით გარდა გ. გულუას ქ. №10-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობისა.

დ) ამ მუხლში მითითებული სამინისტროს თანამშრომლები ობიექტებზე შესვლისას სარგებლობენ სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და მობილური ტელეფონის შეტანის უფლებით, გარდა სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე ზოგიერთი შეზღუდვებისა.

მუხლი 4.

სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც არ სარგებლობენ სამინისტროს ყველა ადმინისტრაციულ შენობებში (გ. გულუას №10) ან დახურულ ობიექტებზე შესვლის უფლებით სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ამ ობიექტებზე პერიოდულად დაიშვებიან დადგენილი ნიმუშის დროებითი საშვის (იხ. დანართი №4ბ) და თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ. დროებითი საშვი მოქმედებს მხოლოდ მასში მინიშნებულ ობიექტზე შესვლისას.

მუხლი 5.

სამინისტროში მომსახურე სხვა პირები (გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირები ან შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეები), რომლებიც არ სარგებლობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობით სამინისტროს ობიექტებზე დაიშვებიან დადგენილი ნიმუშის დროებითი საშვის (იხ. დანართი №4ბ) და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ. დროებითი საშვი მოქმედებს მხოლოდ მასში მინიშნებულ ობიექტზე შესვლისას.

მუხლი 6.

სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც დროებით არ სარგებლობს თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობით (ან დროებითი საშვით), სამინისტროს ობიექტებზე შედის შესაბამისი ხელმძღვანელების მოტივირებული პატაკის საფუძველზე მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ნებართვით. ყველა სხვა შემთხვევაში ასეთი თანამშრომლის სამინისტროს ობიექტებზე შესვლა ხორციელდება უცხო პირთათვის დადგენილი წესით.

თავი III

სამინისტროს დახურულ ობიექტებზე შესვლის წესი

მუხლი 7.

სამინისტროს დახურული ობიექტებია:

ა) სპეციალური ოპერაციების ცენტრი;

ბ) სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალური ღონისძიებების სამმართველო;

გ) კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიო ეთერის კონტროლის სამმართველო;

დ) თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო საინფორმაციო სამმართველოს რადიოცენტრი ე.წ. „022“;

ე) შ.ს.ს საწყობების II ზონა;

ვ) განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი;

ზ) განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი.

მუხლი 8.

სამინისტროს დახურულ ობიექტებზე სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობს მხოლოდ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები (სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე), სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის ადნისტრაციული განყოფილების ინსპექტირების ქვეგანყოფილების თანამშრომლები, უშუალოდ დახურული ობიექტის თანამშრომლები და ობიექტის შესაბამისი დროებითი საშვის მქონე პირები.

მუხლი 9.

მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა სამინისტროს სხვა თანამშრომლებისა და უცხო პირების დახურულ ობიექტზე შესვლა ხორციელდება მინისტრის, მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილე) და უშუალოდ დახურულ ობიექტზე განლაგებული სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის სიტყვიერი ან წერილობითი ნებართვით ან მათ მიერ განსაზღვრული საშვის დაშვებაზე უფლებამოსილი პირების ნებართვის საფუძველზე გაცემული ერთჯერადი საშვით.

მუხლი 10.

დახურულ ობიექტზე შემსვლელი თანამშრომელი და უცხო პირი საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დადგენილი წესით გადის კონტროლს და რეგისტრაციას.

მუხლი 11.

სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ბაზაზე:

ა) სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, გენერალური ინსპექციის თანამშრომლები (სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე), უშუალოდ სპეციალური ოპერაციების ცენტრის თანამშრომლები და სახელმწიფო დაცვის

სპეციალური სამსახურის უფროსი და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის (პრეზიდენტის პირადი დაცვის) თანამშრომლები ასევე ამ ობიექტის დროებითი საშვის მქონე პირები;

ბ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს და უცხო პირებს შესვლის უფლება ეძლევათ შესაბამისად მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის, მინისტრის, მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ან სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსის ნებართვით;

გ) შიდა პერიმეტრზე, ცენტრის დანაყოფების კუთვნილი სამსახურებრივი ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ჯავშანტექნიკის გარდა დაიშვება (გაჩერების უფლებით) საქართველოს პრეზიდენტის, სამინისტროს და სპეციალური ოპერაციების ცენტრის ხელმძღვანელობის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პრეზიდენტის დაცვის სამმართველოს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები;

დ) სპეციალური ოპერაციების ცენტრის სხვა თანამშრომლებს, ასევე სამინისტროს სხვა თანამშრომლებს, დროებითი საშვის მქონე პირებს და უცხო პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ შიდა პერიმეტრის შესასვლელთან მოწყობილი ავტოსადგომით;

მუხლი 12.

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს ბაზაზე:

ა) სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები (სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე), სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის ადნისტრაციული განყოფილების ინსპექტირების ქვეგანყოფილების თანამშრომლები, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს თანამშრომლები და ამ ობიექტის დროებითი საშვის მქონე პირები;

ბ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს და უცხო პირებს შესვლის უფლება ეძლევათ მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის, მისი მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ან სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს უფროსის ნებართვით;

გ) ობიექტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებით შესვლის (გაჩერების) უფლებით სარგებლობენ „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი პირები და ერთჯერადი საშვის მქონე თანამშრომლები;

დ) უცხო პირებს ავტომანქანების გაჩერების უფლება აქვთ ბაზის ტერიტორიის გარეთ, საკონტროლო-გამშვები პუნქტის წინ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე.

მუხლი 13.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიო ეთერის კონტროლის სამმართველოს ტერიტორიაზე:

ა) სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები (სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე), სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის ადნისტრაციული განყოფილების ინსპექტირების ქვეგანყოფილების თანამშრომლები, რადიოკონტრდაზვერვის ცენტრის თანამშრომლები და ამ ობიექტის დროებითი საშვის მქონე პირები;

ბ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს და უცხო პირებს ობიექტზე შესვლის უფლება ეძლევათ მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის, მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის (მათ შორის ცენტრის უფროსის და მისი მოადგილის) ნებართვით;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალებით შესვლის (გაჩერების) უფლებით სარგებლობენ „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი პირები და ერთჯერადი საშვის მქონე თანამშრომლები;

დ) უცხო პირებს უფლება აქვთ ავტომანქანები გააჩერონ ობიექტის ტერიტორიის გარეთ, საკონტროლო-გამშვები პუნქტის წინ.

მუხლი 14.

ქ. თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო საინფორმაციო სამმართველოს რადიოცენტრ ე.წ. „022“-ში შემსვლელი თანამშრომლები და უცხო პირები რადიოცენტრამდე მისვლისას იცავენ პარკში დადგენილ რეჟიმს, რადიოცენტრში შესვლისას კი რადიოცენტრის ტერიტორიაზე დადგენილ შიდა რეჟიმს:

ა) რადიოცენტრში („022“) სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელები, სატელეკომუნიკაციო სპეციალური სისტემების სამმართველოს ხელმძღვანელები, სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები (სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე), სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის ადმინისტრაციული განყოფილების ინსპექტირების ქვეგანყოფილების თანამშრომლები, და რადიოცენტრის თანამშრომლები და ამ ობიექტის დროებითი საშვის მქონე პირები, ასევე რადიოცენტრში განსაზღვრული წესით მომუშავე უცხო პირები;

ბ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს და უცხო პირებს ობიექტზე შესვლის უფლება ეძლევა მინისტრის, მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ან ობიექტის ხელმძღვანელის (პასუხისმგებელი პირის) ნებართვით;

გ) ობიექტზე ავტომანქანით შესვლის (გაჩერების) უფლება ეძლევა მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს, საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელებს, სატელეკომუნიკაციო სპეციალური სისტემების სამმართველოს ხელმძღვანელებს, სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს (სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე), სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის ადმინისტრაციული განყოფილების ინსპექტირების ქვეგანყოფილების თანამშრომლებს, რადიოცენტრის თანამშრომლებს, ამ ობიექტის დროებითი საშვის მქონე პირებს, ასევე ერთჯერადი საშვის მქონე თანამშრომლებს;

დ) უცხო პირებს რადიოცენტრში ავტომანქანით მისვლისას უფლება აქვთ ავტომანქანა გააჩერონ ტერიტორიის გარეთ, საკონტროლო-გამშვები პუნქტის წინ;

მუხლი 15.

სამინისტროს სასაწყობო მეურნეობის ტერიტორია (შემდგომში – სასაწყობო ტერიტორია) საქმიანობის ფორმის და შინაარსის მიხედვით იყოფა ორ ზონად: I – ადმინისტრაციულ-სამეურნეო და II – სასაწყობო მეურნეობის ზონებად;

ა) I – ზონაში სამინისტროს თანამშრომლების (ფეხით ან ავტომანქანით) შესვლა ხორციელდება სპეციალური ნებართვის გარეშე პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ, ხოლო უცხო პირების – ერთჯერადი საშვით (იხ. დანართი №3ბ);

ბ) II – ზონაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე მოადგილეები, გენერალური ინსპექციის თანამშრომლები (სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე), სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის ადნისტრაციული განყოფილების ინსპექტირების ქვეგანყოფილების თანამშრომლები, განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს უფროსი და მოადგილე, უშუალოდ სასაწყობო მეურნეობის თანამშრომლები და ამ ობიექტის შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეები რომელთა ვინაობა განსაზღვრულია სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთა მოწერილობით;

გ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს და უცხო პირებს II – ზონაში ფეხით ან ავტომანქანით შესვლის (ტვირთის შეტანა-გამოტანის) უფლება ეძლევათ სასაწყობო ტერიტორიაზე განლაგებული სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების მიერ მინისტრის მოადგილესთან (უფლებამოსილი მოადგილე) შეთანხმებით განსაზღვრული საშვის დაშვებაზე უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე გაცემული ერთჯერადი საშვით (იხ. დანართი №3ბ). II ზონიდან გამოსვლის შემდეგ უფლებამოსილი პირის მიერ დახურული დამოწმებული საშვი ბარდება საკონტროლო გამშვებ პუნქტზე.

დ) სამინისტროს იმ დანაყოფის თანამშრომლები, რომლებსაც II – ზონაში დაკავებული აქვთ საცავები და უწევთ ობიექტზე პერიოდული მისვლა (ექვსი

თვის პერიოდულობით), ტერიტორიაზე დაიშვებიან დანაყოფის უფროსის წერილობითი მომართვის საფუძველზე მიღებული მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ნებართვით. წერილობით მომართვაში მიეთითება თანამშრომლის გვარი, სახელი, დაკავებული თანამდებობა და ობიექტზე მისი შესვლის მიზანი;

ე) შესვენების და არასამუშაო საათებში, ასევე უქმე და დასვენების დღეებში II – ზონაში შესვლის ნებართვას საშვის დაშვებაზე უფლებამოსილი პირის სიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე გაცემს სასაწყობო მეურნეობის პასუხისმგებელი ოფიცერი, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ატყობინებს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოს სამორიგეოს, ხოლო სპეციალური ოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს დაცვის თანამშრომელი აწარმოებს დაშვებული პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალში.“

თავი IV

სამინისტროს ობიექტებზე თანამშრომელთა

ავტომანქანით შესვლის წესი

მუხლი 16.

სამინისტროს ობიექტებზე ავტომანქანით შესვლის უფლებით სარგებლობენ თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის შესაბამისი ნებართვა და მათი ვინაობა და ავტომანქანის მონაცემები (მარკა და სახელმწიფო ნომერი) შეტანილია ამ ობიექტების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილ სიებში.

მუხლი 17.

თანამშრომელი, რომელიც ავტომანქანით შედის ობიექტზე (სამინისტროს ხელმძღვანელობის გარდა) საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე წარადგენს

პირადობის დამადასტურებელ მოწმობას (ან დროებით საშვს), გადის სათანადო კონტროლს და რეგისტრაციას.

მუხლი 18.

ავტომანქანაში რამდენიმე თანამშრომლის ყოფნის დროს თითოეული მათგანი ვალდებულია საკონტროლო გამშვებ პუნქტზე წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან დროებითი საშვი).

მუხლი 19.

სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებს ამოღებული ან ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანების გაჩერების უფლება ეძლევათ მხოლოდ სამინისტროს საწყობების ტერიტორიაზე (მისამართი ქიზიყის ქ. №5).

მუხლი 20.

სამინისტროს I ადმინისტრაციული შენობის (გ. გულუას ქ. №10) ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ეზოს წინა ნაწილში, №1 საგუშაგოს მხრიდან (იხ. დანართი №6) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით შესვლის უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები მთავარი სამმართველოს უფროსები; აღნიშნული თანამდებობის პირთა სატრანსპორტო საშუალებებზე გაიცემა სპეციალური საშვები მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ნებართვით და დადასტურებული ხელმოწერით (იხ. დანართი №7ა);

ბ) №5 საგუშაგოს ტერიტორიაზე შესვლის უფლებით სარგებლობენ სამინისტროს II ადმინისტრაციულ შენობაში (გ. გულუას ქ. №8) სამსახურებრივად განთავსებული მთავარი სამმართველოს უფროსები, მათი მოადგილეები, სამმართველოს უფროსები, სამმართველოს უფროსის მოადგილეები, სამსახურის უფროსები, სამსახურის უფროსის მოადგილეები, განყოფილების უფროსები და მათი მოადგილეები (მათ შორის მიმართულების

უფროსები), რომლებსაც აქვთ ავტომანქანის სპეციალური საშვი (იხ. დანართი №7ბ);

გ) №6 საგუშაგოდან შესვლის უფლებით სარგებლობენ სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ ავტომანქანის სპეციალური საშვი (იხ. დანართი №7გ);

დ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს (სამმართველოს უფროსებს) უფლება აქვთ ისარგებლონ ეზოს უკანა ნაწილში (შესასვლელი №6 საგუშაგოდან) მდებარე ავტოსადგომით (დანართი №7გ);

ე) აკრძალულია ავტომანქანების გაჩერება გ. გულუას ქუჩის შენობის მიმდებარე მონაკვეთზე;

ვ) შენობაში შემსვლელ უცხო პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ გ. გულუას ქუჩის შენობის მოპირდაპირე მხარეს მოწყობილი ავტოსადგომით.

მუხლი 21.

სამინისტროს III ადმინისტრაციული შენობის (ვაჟა-ფშაველას გამზირი №72) ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ეზოს წინა ნაწილში (ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით შესვლის უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები;

ბ) ეზოს უკანა ნაწილში (შესასვლელი თავხელიძის ქუჩიდან) ავტოსატრანსპორტო საშუალებებით შესვლის უფლებით სარგებლობენ ობიექტზე მომუშავე თანამშრომლები რომელთა ვინაობა და ავტომანქანის მონაცემები (მარკა და სახელმწიფო ნომერი) დანაყოფის ხელმძღვანელის წერილობითი მომართვის საფუძველზე ობიექტზე განთავსებული სტრუქტურული ქვედანაყოფის კურატორი მინისტრის მოადგილის ნებართვით

შეტანილია შესაბამის სიაში ასევე სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები;

გ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს და უცხო პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ ობიექტის წინ (ვაჟა-ფშაველას გამზირზე) არსებული ავტოსადგომით;

დ) ეზოში ავტომანქანის (სამსახურებრივი ავტომანქანების გარდა) ხანგრძლივი დროით (10 დღეზე მეტი ვადით) გაჩერების უფლება თანამშრომლებს ეძლევა მხოლოდ წერილობითი მომართვის საფუძველზე ობიექტზე განთავსებული სტრუქტურული ქვედანაყოფის კურატორი მინისტრის მოადგილის ნებართვით.

მუხლი 22.

სამინისტროს IV ადმინისტრაციული შენობის (მის: 9 აპრილის ქუჩა №4) ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ეზოში შესვლის (გაჩერების) უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელები, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსი და სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის უფროსი. ეზოში მუდმივად გაჩერების უფლება აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ცენტრალური სამაშველო რაზმის სამსახურებრივ მორიგე ავტომანქანას, საპატრულო პოლიციის სამსახურებრივ ავტომანქანებს. სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ეზოში ავტომანქანით დაიშვებიან მინისტრის ან მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ნებართვით;

ბ) სამინისტროს სხვა თანამშრომლებს უფლება აქვთ ისარგებლონ 9 აპრილის ქუჩის ობიექტის მიმდებარე მონაკვეთზე მოწყობილი ავტოსადგომით;

გ) სამინისტროს საპატიო სტუმრებს ავტომანქანების გაჩერების უფლება ეძლევათ 9 აპრილის ქუჩაზე, შენობის ცენტრალური შესასვლელის წინ, კიბეებთან სათანადოდ გამოყოფილ ადგილზე;

დ) იკრძალება 9 აპრილის ქუჩაზე მოწყობილ ავტოსადგომზე უცხო პირთა ავტომანქანების გაჩერება;

ე) იკრძალება ავტომანქანების გაჩერება ინგოროყვას ქუჩის ობიექტის მხარეზე და ჭიშკრის მიმდებარე მონაკვეთზე.

მუხლი 23.

ქ. თბილისის შ.ს. მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლა ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) შენობის წინ არსებულ ეზოში (მისასვლელი კორნელი ჩალაძის ქუჩიდან) ავტოსატრანსპორტო საშუალებით შესვლის (გაჩერების) უფლებით სარგებლობენ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები, ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელები სპეციალური საშვით (იხ. დანართი №7ა), ასევე ამ ობიექტის სპეციალური საშვის მქონე თანამდებობის პირები (იხ. დანართი №7 დ).

ბ) შენობის უკან არსებულ ეზოში (მისასვლელი მარშალ გელოვანის გამზირიდან) მოწყობილ №2 ავტოსადგომზე ავტომანქანით შესვლის (გაჩერების) უფლებით სარგებლობენ ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს და ქ. თბილისის პროკურატურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, ავტომანქანის სპეციალური საშვის საფუძველზე (იხ. დანართი №7 ე);

გ) სხვა თანამშრომლებს და ობიექტზე შესვლის მსურველ უცხო პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე (სამხრეთ-აღმოსავლეთით) მოწყობილი ავტოსადგომით.

თავი V

სამინისტროს ობიექტებზე უცხო პირთა შესვლის წესი

მუხლი 24.

ა) სამინისტროს ობიექტებზე უცხო პირთა შესვლა დაიშვება მხოლოდ ცენტრალური და ძირითადი შესასვლელებიდან, უფლებამოსილი პირის მიერ დაშვებული და საშვთა ბიუროს მიერ დადგენილი წესით გაცემული ელექტრონული საშვის საფუძველზე (დანართი №3ა-1-დან დანართი №3ა-3-ის ჩათვლით), საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სათანადო კონტროლის და რეგისტრაციის გავლის შემდეგ;

ბ) საშვთა ბიუროს მიერ დადგენილი წესით დაშვებული ელექტრონული საშვი გაიცემა მხოლოდ ფოტოსურათიანი ერთ-ერთი შემდეგი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ: პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, შსს პირადობის მოწმობის, მართვის მოწმობის (რომელზეც აღნიშნულია მოქალაქის პირადი ნომერი). ვადაგასულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტზე ან დოკუმენტის ქსეროასლზე საშვი არ დაიშვება;

გ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოუდგენლად გაცემულ საშვს ძალა არ აქვს. დაუშვებელია საშვის სხვა პირზე გადაცემა;

დ) უცხო პირებზე ელექტრონული საშვის დაშვების უფლება აქვთ: მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს, მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის და მინისტრის მოადგილეების თანაშემწეებს, შენობაში განთავსებულ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, სამმართველოს უფროსებს და სამმართველოს უფროსის მოადგილეებს. აუცილებლობის შემთხვევაში და გარკვეული ვადით, საშვის დამშვები პირი განისაზღვრება უშუალოდ დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

ე) პირის შენობიდან გასვლისას საშვი ბარდება საკონტროლო გამშვებ პუნქტზე დაცვის თანამშრომელს;

ვ) უქმე და დასვენების დღეებში, ასევე არასამუშაო საათებში საშვთა ბიუროს ფუნქციებს ასრულებენ სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს თანამშრომლები.

მუხლი 25.

სამინისტროს ობიექტებზე, ელექტრონული საშვის გარეშე, შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით შესვლის უფლება ეძლევა მინისტრის მიერ დამტკიცებულ ნუსხაში ჩამოთვლილ სახელმწიფო თანამდებობის პირებს (დანართი №5).

მუხლი 26.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შენობებში დადგენილი ნიმუშის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენით შესვლის უფლებით სარგებლობენ სამინისტროს თანამშრომლები და მინისტრის მიერ დამტკიცებულ ნუსხაში ჩამოთვლილი სახელმწიფო თანამდებობების პირები (იხ. დანართი №5). აღნიშნულ შენობებში და კუთვნილ ტერიტორიებზე უცხო პირთა შესვლა ხორციელდება შესაბამისი ტერიტორიული და სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთა ნებართვით.

მუხლი 27.

პირი, რომელიც ელექტრონული საშვის საფუძველზე შედის სამინისტროს ობიექტებზე, ვალდებულია საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ჩააბაროს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ ინსტრუქციის 29-ე მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი პირადი ნივთები, გაიაროს სათანადო კონტროლი მეტალოდეტექტორზე და რეგისტრაცია.“

მუხლი 28.

სამინისტროს ობიექტებზე შემოსულ უცხო პირთა რეგისტრაციის შემდეგ მათ შენობაში გადაადგილებაზე კონტროლს ახორციელებენ ის ხელმძღვანელები, რომელთა განკარგულებითაც მოხდა საშვის დაშვება.

მუხლი 29.

სამინისტროს ობიექტებზე შესვლისას უცხო პირებს ეკრძალებათ:

ა) წინასწარი ნებართვის გარეშე ობიექტზე კინო და ფოტოგადამღები აპარატურის, აუდიო და ვიდეოჩამწერის, რადიოსაშუალებების, პირგადასაღები-გასამრავლებელი აპარატურის ან ინფორმაციის შემკრები სხვა მოწყობილობის, მობილური ტელეფონის, ნებისმიერი იარაღის ან საბრძოლო მასალის, აგრეთვე ხელჩანთის და იმ ნივთების შეტანა, რომელთა შექმნა ან ტარება დაშვებულია სპეციალური ნებართვის საფუძველზე;

ბ) ობიექტის ტერიტორიაზე გადაადგილება გარდა იმ ქვედანაყოფისა საიდანაც მოხდა საშვის დაშვება.

მუხლი 30.

ა) სამთავრობო (დანართი №5-ში მოცემული პირების გარდა) ან საერთაშორისო დელეგაციების წარმომადგენელთა სამინისტროს ობიექტებზე შესვლა ხორციელდება წინასწარი შეთანხმების (მინისტრთან, მინისტრის მოადგილესთან, შსს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან) მიხედვით საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სათანადო კონტროლის და რეგისტრაციის გავლის შემდეგ, რის საფუძველზეც მათ ეძლევათ სტუმრის სტატუსის მაჩვენებელი სპეციალური სამკერდე ნიშანი (დანართი №9);

ბ) დელეგაციის წარმომადგენელთა დახვედრას შესასვლელთან და ობიექტზე ყოფნის დროს მათ თანხლებას უზრუნველყოფს მათი მომწვევი ქვედანაყოფის თანამშრომელი.

მუხლი 31.

სხვა სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომელთა სამინისტროს ობიექტებზე პერიოდული შესვლა ხორციელდება წარმომდგენი უწყების ხელმძღვანელის წერილობითი მომართვის საფუძველზე (6 თვის პერიოდულობით) მიღებული მინისტრის მოადგილის (უფლებამოსილი მოადგილის) ნებართვით. სადაც მიეთითება პიროვნების გვარი, სახელი, დაკავებული თანამდებობა და ობიექტზე მისი შესვლის მიზანი. აღნიშნულმა პირმა ობიექტზე შესვლისას დადგენილი წესით უნდა ჩააბაროს პირადობის

დამადასტურებელი მოწმობა და წინამდებარე ინსტრუქციის 29-ე მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი ნივთები, გაიაროს სათანადო კონტროლი მეტალოდეტექტორზე და რეგისტრაცია.

მუხლი 32.

ა) პრესკონფერენციების, ბრიფინგების ან სხვა ღონისძიებების დროს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელთა სამინისტროს ობიექტებზე შესვლა და გადააგილება ხორციელდება მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის და მოადგილეების, სამინისტროს ადმინისტრაციის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ან ობიექტზე განთავსებული სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის ნებართვით, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

ბ) ობიექტზე მოწვეული ჟურნალისტების დახვედრას და ობიექტზე ყოფნის დროს მათ თანხლებას უზრუნველყოფს სამინისტროს ადმინისტრაციის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ან მათი მომწვევი ქვედანაყოფის თანამშრომელი.

მუხლი 33.

სამინისტროს ობიექტებზე დაკავებულ პირთა შეყვანისა და გადააგილებისას:

ა) შესაბამისი ქვედანაყოფის მიერ დაკავებული პირის სამინისტროს ობიექტზე შეყვანა-გაყვანა ხორციელდება მისი საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე სათანადო კონტროლის და რეგისტრაციის შემდეგ;

ბ) ობიექტზე შეყვანილი დაკავებული პირის გადაადგილებაზე პასუხს აგებს დაკავებული პირის შემყვანი თანამშრომელი;

გ) დროებითი დაკავების იზოლატორებში მოთავსებულ პირებთან შემსვლელ პირებზე საშვის დაშვების უფლება აქვს სამინისტროს ადმინისტრაციის ადამიანის უფლებების დაცვის და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებს და დროებითი მოთავსების იზოლატორების უფროსებს.

თავი VI

სსიპ _ საქართველოს შ.ს.ს. აკადემიის ობიექტზე შესვლის წესი

მუხლი 34.

სსიპ _ შ.ს.ს. აკადემიის (შემდგომში _ აკადემია) ტერიტორიაზე სამინისტროს თანამშრომელთა შესვლა ხორციელდება ცენტრალური შესასვლელიდან, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დადგენილი ნიმუშის პირადობის მოწმობის წარდგენის შემდეგ (იხ. დანართი №2).

მუხლი 35.

აკადემიის ტერიტორიაზე გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირებისა და შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეების შესვლა ხორციელდება დროებითი საშვის და მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 36.

აკადემიის ტერიტორიაზე სტუდენტების/მსმენელების შესვლა ხორციელდება აკადემიის რექტორის ან მისი თანხმობით აკადემიის პრორექტორის მიერ განსაზღვრული სტუდენტების/მსმენელების სიების საფუძველზე.

მუხლი 37.

აკადემიის ტერიტორიაზე უცხო პირებს შესვლის უფლება ეძლევათ მინისტრის, აკადემიის კურატორი მინისტრის მოადგილის, აკადემიის რექტორის, პრორექტორების, ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსისა და აკადემიის ძირითადი ან სტრუქტურული ერთეულის უფროსის (ბიბლიოთეკის უფროსის გარდა) ნებართვით.

მუხლი 38.

უცხოელი სტუმრების ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელთა სამინისტროს ობიექტებზე პერიოდული შესვლა ხორციელდება წარმომდგენი

უწყების ხელმძღვანელის წერილობითი მომართვის საფუძველზე (6 თვის პერიოდულობით), სადაც მიეთითება პიროვნების გვარი, სახელი, დაკავებული თანამდებობა და ობიექტზე მისი შესვლის მიზანი. აღნიშნულმა პირმა ობიექტზე შესვლისას დადგენილი წესით უნდა გაიაროს რეგისტრაცია.

მუხლი 39.

აკადემიის ტერიტორიაზე ცენტრალური შემოსასვლელიდან (№1 საგუმბაგოდან) ავტომანქანით შესვლის (გაჩერების) უფლებით სარგებლობენ:

ა) მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები მთავარი სამმართველოს უფროსები, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები (იხ.დანართი №7ა) ავტომანქანის სპეციალური საშვით;

ბ) აკადემიის რექტორი, პრორექტორები და აკადემიის თანამშრომლები აკადემიის ობიექტის ავტომანქანის სპეციალური საშვის საფუძველზე (იხ. დანართი №7ვ);

გ) სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები და სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შტაბის ადნისტრაციული განყოფილების ინსპექტირების ქვეგანყოფილების თანამშრომლები – სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე.

მუხლი 40.

აკადემიის ტერიტორიაზე სტუდენტების/მსმენელების, შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეების ავტომანქანით შესვლა ხორციელდება N2 საგუმბაგოდან აკადემიის რექტორის ან მისი თანხმობით აკადემიის პრორექტორის მიერ განსაზღვრული სიების საფუძველზე. მათ უფლება აქვთ ავტომანქანა გააჩერონ N2 საგუმბაგოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ ავტოსადგომზე.

მუხლი 41.

სამინისტროს სხვა თანამშრომლებს და უცხო პირებს აკადემიის ტერიტორიაზე ავტომატურად შესვლის უფლება ეძლევა რექტორის, პრორექტორის ან ადმინისტრაციის უფროსის ნებართვით.

თავი VII

ამოღებულია N229 23.03.2012წ

თავი VIII

დასკვნითი დებულებები

მუხლი 53.

საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით და წამოიჭრება მუშაობის პროცესში, წყდება აღნიშნულ ნორმებში ცვლილების ან დამატების შეტანის გზით.

“დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა”

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2008 წ., “ „ „ №

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ

შ.ს.ს. ობიექტები, რომლებზეც საჯარისო დაცვა ხორციელდება

სპეციალური ოპერაციების ცენტრის ობიექტების დაცვის სამმართველოს

ძალებით და საშუალებებით

I განყოფილება

_ სპეციალური ოპერაციების ცენტრი;

II განყოფილება

I ქვეგანყოფილება

_ სამინისტროს IV ადმინისტრაციული შენობა (ქ.თბილისი 9 აპრილის ქუჩა №4);

_ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქ. თბილისის ტერიტორიული მთავარი სამმართველო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №28);

_ ძველი თბილისის პოლიციის სამმართველო (ქ.თბილისი თაბუკაშვილის ქ. №27);

II ქვეგანყოფილება

– კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიო ეთერის კონტროლის სამმართველო;

– კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიო ეთერის კონტროლის სამმართველოს

საპელენგაციო პუნქტი;

III ქვეგანყოფილება

– ქ.თბილისის და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს სამორიგეო-საინფორმაციო სამმართველოს რადიოცენტრი „022“.

III განყოფილება

I ქვეგანყოფილება

– სამინისტროს III ადმინისტრაციული შენობა (ქ.თბილისი შვაჟა ფშაველას გამზირი №72);

II ქვეგანყოფილება

– სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალური ღონისძიებების სამმართველო.

IV განყოფილება

I ქვეგანყოფილება

– სამინისტროს I ადმინისტრაციული შენობა (ქ.თბილისი გულუას ქ. №10);

– II ადმინისტრაციული შენობა(ქ.თბილისი გულუას ქ. №10);

– ავტოფარეხი;

– საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციული შენობა.

II ქვეგანყოფილება

_ ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობა (ქ.თბილისი კორნელი ჩალაძის ქ. №1).

III ქვეგანყოფილება

_ საპატრულო პოლიციის ადმინისტრაციული შენობა (ქ.თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.);

V განყოფილება

I ქვეგანყოფილება

_ შ.ს.ს საწყობები.

II ქვეგანყოფილება

_ შსს აკადემია (ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქ. №1)

III ქვეგანყოფილება

_ სამაშველო სამსახური (თბილისის ზღვა);

IV ქვეგანყოფილება

_ მშენებარე ობიექტი (ქ.თბილისი კახეთის გზატკეცილი №38);

VI განყოფილება

I ქვეგანყოფილება (ქ. ბათუმი)

_ შ.ს.ს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის აჭარის ა/რ მთავარი სამმართველო (ქ. ბათუმი გრიბოედოვის ქუჩა №4);

_ შ.ს.ს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიო ეთერის კონტროლის

სამმართველოს IV განყოფილება;

_ შ.ს.ს აჭარის ა/რ მთავარი სამმართველო (ქ. ბათუმი ტბელ აბუსელიძის №11);

II ქვეგანყოფილება (ქ. ზუგდიდი)

_ შ.ს.ს. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი;

_ შ.ს.ს. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო (ზუგდიდის რ-ნი სოფელი ჭითაწყალი);

_ შ.ს.ს. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო.

III ქვეგანყოფილება (ქ. გორი)

_ შ.ს.ს. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი შიდა ქართლის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი;

_ შ.ს.ს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და თიანეთის რეგიონალური სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილება (ქ. გორი დ. აღმაშენებლის ქუჩა №80ა);

_ შ.ს.ს. შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო (ქ. გორი დ. აღმაშენებლის ქუჩა №42);

_ შ.ს.ს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და თიანეთის რეგიონალური სამმართველოს ცხინვალის განყოფილება.

ქ. ქუთაისი

_ შ.ს.ს. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასავლეთ რეგიონის სამმართველო

(ქ. ქუთაისი გ. ტაბიძის ქუჩა №27);

_ შსს იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო (ქ. ქუთაისი ჯავახიშვილის ქ. №12);

_ შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი იმერეთის განყოფილება. (ქ. ქუთაისი ორახელაშვილის №8).

ქ. ფოთი

_ შ.ს.ს. კონტრაფერვის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს ქ. ფოთის საქალაქო განყოფილება (ქ. ფოთი გეგიძის ქუჩა №12).

ქ. ახმეტა

_ შ.ს.ს. კონტრტერორისტული დეპარტამენტის I სამმართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილება (ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქუჩა №5)


ქ. თელავი

_ შ.ს.ს. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის რეგიონალური სამმართველო (ქ. თელავი აჩინებულის ქუჩა №5).

ქ. ახალქალაქი_ შ.ს.ს. პოლიციის სამმართველო (ქ. ახალქალაქი აღმაშენებლის ქ. №5)

დანართი N2ა

სამსახურებრივი პირადობის მოწმობა



დანართი N3ა-1


„დამტკიცებულია“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2012 წლის 23.03. N229 ბრძანებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესასვლელი

ელექტრონული საშვი



შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესასვლელი
ელექტრონული საშვის აღწერილობა


ელექტრონული საშვი წარმოადგენს 86 X 54 მმ ზომის მართკუთხა ფორმის
უკონტაქტო პლასტიკურ ბარათს

ავერსი

ელექტრონული საშვის ცენტრის ზედა ნაწილში წარწერაა – შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ელექტრონული საშვის ცენტრში გამოსახულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ემბლემა;

ელექტრონული საშვის ქვედა ნაწილში წარწერაა – სტუმარი.



რევერსი

ელექტრონულ საშვზე ვერტიკალურად წარწერაა ლათინური ასოებით VISITOR;

ელექტრონულ საშვს ფონად გასდევს (შავი ფერი) მცირე ზომის წარწერა – MIA.

დანართი N3ა-2


„დამტკიცებულია“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2012 წლის 23.03.N229 ბრძანებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესასვლელი

ელექტრონული საშვი



შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესასვლელი
ელექტრონული საშვის აღწერილობა


ელექტრონული საშვი წარმოადგენს 86 X 54 მმ ზომის მართკუთხა ფორმის
უკონტაქტო პლასტიკურ ბარათს

ავერსი

ელექტრონული საშვის ცენტრის ზედა ნაწილში წარწერაა – შინაგან საქმეთა
სამინისტრო;

ელექტრონული საშვის ცენტრში გამოსახულია საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს ემბლემა;

ელექტრონული საშვის ქვედა ნაწილში წარწერაა – სტუმარი.



რევერსი

ელექტრონულ საშვზე ვერტიკალურად წარწერაა ლათინური ასოებით VISITOR;
ელექტრონულ საშვს ფონად გასდევს (შავი ფერი) მცირე ზომის წარწერა – MIA.

დანართი N3ა-3


„დამტკიცებულია“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2012 წლის 23.03.N229 ბრძანებით

შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესასვლელი

ელექტრონული საშვი



შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში შესასვლელი

ელექტრონული საშვის აღწერილობა

ელექტრონული საშვი წარმოადგენს 86 X 54 მმ ზომის მართკუთხა ფორმის


უკონტაქტო პლასტიკურ ბარათს

ავერსი

ელექტრონული საშვის ცენტრის ზედა ნაწილში წარწერაა – შინაგან საქმეთა სამინისტრო;

ელექტრონული საშვის ცენტრში გამოსახულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ემბლემა;

ელექტრონული საშვის ქვედა ნაწილში წარწერაა – სტუმარი.



რევერსი

ელექტრონულ საშვზე ვერტიკალურად წარწერაა ლათინური ასოებით
VISITOR;

ელექტრონულ საშვს ფონად გასდევს (შავი ფერი) მცირე ზომის წარწერა – MIA.

დანართი N3ბ

„დამტკიცებულია“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2009წ. 12.03. N330 ბრძანებით

შსს სასაწყობო ბაზა

ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე (I ზონაში)

შესასვლელი ერთჯერადი საშვი N

საშვის დამშვები _____

მიეცა მოქალაქე _____

საცხ. მისამართი _____

ვისთან მიღის _____

საბუთი N _____

(პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა)

ა/მანქანა N— მარკა — მასთან — კაცი

გაცემის თარიღი „-“ — 200წ.

შესვლის დრო „-“სთ. „—“ წთ.

საშვთა ბიუროს ინსპექტორის

ხელმოწერა _____

საშვის სხვა პირზე გადაცემა აკრძალულია

დაშვებულ იქნას სასაწყობო ბაზის (II ზონა)

ტერიტორიაზე _____

ბ.ა. (ხელმოწერა)

მანქანოთ, უმანქანოდ: მასთან — კაცი

(გაიხაზოს)

ვისთან მიდის _____

(საწყობის გამგე)

გასვლის აღნიშვნა

„____“ _____ 200 წ.

„____“ სთ. „____“ წთ.

საშვის დახურვაზე პასუხისმგებელია პირის

ხელმოწერა

1. _____

2. _____

3. _____


4. _____

დაცვის თანამშრომლის

ხელისმოწერა _____

გასვლისას საშვი სათანადო აღნიშვნით

უნდა ჩაბარდეს დაცვის თანამშრომელს




დანართი N48

„დამტკიცებულია“

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2008 წ. „10“ „10“ N1084

ბრძანებით



დანართი №5

“დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა”

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2008 წ., “ „ “ №

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ

სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელ პირთა სია, რომლებსაც

გააჩნია პირადობის დამადასტურებელი მოწმობით

შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში

შესვლის უფლება

- 1.საქართველოს პრეზიდენტი;
- 2.საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი;
- 3.საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები;
- 4.საქართველოს პარლამენტის წევრები;
- 5.საქართველოს პრემიერ მინისტრი;
- 6.საქართველოს სახელმწიფო მინისტრები;
- 7.საქართველოს მინისტრები და მათი მოადგილეები;
- 8.საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, მისი მოადგილეები;
- 9.აფხაზეთისა და აჭარის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები;
- 10.საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;
- 11.საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები;
- 12.საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები;
- 13.საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე;
- 14.საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი;


15.საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები;

16.ქ. თბილისის მერი;


17.ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე;


18.სახალხო დამცველი ან სახალხო დამცველის აპარეტის თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია სახალხო დამცველის მიერ დამოწმებული რწმუნება.

The image is blank and contains no text.



© 2010 Microsoft Corporation. All rights reserved. Microsoft, the Microsoft Dynamics logo, and the Microsoft Dynamics logo are either registered trademarks or trademarks of Microsoft Corporation in the United States and/or other countries.





დანართი №8

“დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა”

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

2008 წ. „ „ „ №

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ

საკონტროლო გამშვებ პუნქტზე

ცეცხლსასროლი იარაღის დროებით ჩაბარების წესი

1. იარაღს იბარებს ოფიცერი (ცვლის უფროსი, ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე ან ქვეგანყოფილების უფროსი) ს.გ.პ-ზე ამისათვის განკუთვნილ ადგილზე;

2. იარაღის მფლობელი იარაღის ჩაბარების წინ

_ ხსნის იარაღს სავაზნე კოლოფს;

_ გადაჰყავს მცველი მდგომარეობაში “ცეცხლი” (უშვებს დაბლა);

_ გამოწევს საკეტს ბოლომდე და საკეტის შემფერხებლის ზემოქმედებით აფიქსირებს უკანა მდგომარეობაში;

_ ამოწმებს, ხომ არ არის ვაზნა სავაზნეში;

_ გადასცემს იარაღს და სავაზნე კოლოფს ოფიცერს შესამოწმებლად;

3. ოფიცერი ვიზუალური დათვალიერებით, დაუშლელად ახდენს იარაღის შემოწმებას და

_ რწმუნდება არის თუ არა იარაღის ყველა, ხილვადი ნაწილი ადგილზე;

_ არკვევს, ხომ არ არის იარაღის გარე ნაწილებზე ჭუჭყი, ნაჰყლეტი, ნაკაწრი, ამონატები ან სხვა დაზიანება და ასეთის არსებობის შემთხვევაში მფლობელის თანდასწრებით აფიქსირებს ამას სათანადო ჟურნალში;

4. იარაღის შემოწმების შემდეგ ოფიცერი ახდენს იარაღის ჩაბარების რეგისტრაციას სათანადო ჟურნალში და ინახავს მას სპეციალურ ლითონის კარადაში, სანაცვლოდ იარაღის მფლობელს გადასცემს სპეციალურ ჟეტონს.



